ფაილი N1 - მასწავლებლის სახელმძღვანელო

- **გაკვეთილის/თემატური ერთეულის სათაური:** მე ვურთიერთობ და ვთანამშრომლობ სხვა ადამიანებთან
- **კლასი** - X
- **საგანი** - სამოქალაქო განათლება
- **სასწავლო მიზნები** - მოსწავლეებმა გაიაზრონ ტერმინის „მოწყვლადი“ მნიშვნელობა; განუვითარდეთ განსხვავებული სოციალური და კულტურული ჯგუფებისადმი მიმღებლური დამოკიდებულება; გამოიკვლიონ მოწყვლადი ჯგუფებიდან ერთ-ერთი ჯგუფის მდგომარეობა საქართველოში; დაგეგმონ და განახორციელონ მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.
- **აკადემიური მიზნები:** მოსწავლეებმა შეძლონ გააზრებული მონაწილეობა და თანამშრომლობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, გაიაზრონ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და მათი დახმარების შესაძლებლობები. გამოავლინონ დაუცველი ჯგუფებისადმი თანადგომა და დაგეგმონ ამ ჯგუფების დასახმარებელი ღონისძიებები. (მოქ. X. 5)

  საზოგადოებრივი მიზნები: პროექტის ფარგლებში “ათასწლეულის სკოლის” მე-10 კლასის მოსწავლეები არასამთავრობო ორგანიზაცია “SOS ბავშვთა სოფლის” აღსაზრდელებისთვის მოამზადებენ ტრენინგს, რომელიც მათ სოციალური უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება, განივითარებენ კომუნიკაციის, თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი აზროვნების უნარებს, გახდებიან უფრო გახსნილები და თავდაჯერებული.

I. პროექტის მოკლე აღწერა

პროექტის “ჩვენ ვცვლით ერთმანეთს” ფარგლებში “ათასწლეულის სკოლის” მე-10 კლასის მოსწავლეებმა საკლასო სივრცეში იმსჯელეს საზოგადოების მრავალფეროვნებაზე, გაიაზრეს, რომ არსებობენ ჯგუფები, რომლებიც შეიძლება მათგან განსხვავდებოდნენ და საჭიროებდნენ საზოგადოების დანარჩენი წევრების მხრიდან უფრო მეტ თანადგომას და მხარდაჭერას. ბავშვებმა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების გაანალიზების მიზნით, შეისწავლეს სახალხო დამცველის აპარატის 2016 წლის კვლევა, რომელიც ეხება ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას

საქართველოში, განსაკუთრებით, კი ყურადღება გაამახვილეს მზრუნველობამოკლებული ბავშვების მდგომარეობის შეფასებაზე. მოსწავლეებმა ნახეს ფილმი „უხილავი ბავშვები“, სადაც აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების მძიმე ყოფა და ბრძოლა გადარჩენისთვის. მოსწავლეებმა ფილმის ყურების შემდეგ, შეადარეს რამდენად ახლოსაა ქართულ რეალობასთან ფილმში ასახული პრობლემები და იმსჯელეს სახელმწიფოსა და საზოგადოების როლზე ბავშვებისთვის მშვიდობის, სიცოცხლის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. საკითხის შესწავლის და გაანალიზების შემდეგ მოწყვლად ჯგუფებთან უშუალო თანამშრომლობის და თანადგომის გამოხატვის მიზნით, შევარჩიეთ სკოლასთან ახლოს მდებარე „SOS ბავშვთა სოფელი“, სადაც მზრუნველობამოკლებული ბავშვები ცხოვრობენ. მოვიწვიეთ ამ ორგანიზაციის პროექტების მენეჯერი, რომელმაც საფუძვლიანი ინფორმაცია მოგვაწოდა ორგანიზაციის საქმიანობის, მათი ბენეფიციარების საჭიროებების და ემოციური მდგომარეობის შესახებ. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით პროექტის დასკვნით ეტაპზე ათასწლეულის სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა არასამთავრობო ორგანიზაცია “SOS ბავშვთა სოფლის” აღსაზრდელებისთვის დაგეგმეს ტრენინგი, რომლის საშუალებითაც მზრუნველობამოკლებულმა ბავშვებმა კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი აზროვნების უნარები გაიუმჯობესეს. თავის მხრივ, მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვით სკოლის მოსწავლეებში ამაღლდა სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია, რაც მათ საზოგადოებრივად აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

II. უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მოწყვლადი ჯგუფი - განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე ადამიანების ერთობლიობა, მაგალითად, შშმ, ქუჩაში მცხოვრები, დევნილები და ა.შ.

მზრუნველობამოკლებული - 18 წლის ასაკამდე პირი, რომელიც დარჩა მშობლების მზრუნველობის გარეშე.

III. საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

- პროექტორი
- ლეპტოპი
- ფილმი
- სახელმძღვანელო
- მასწავლებლის სალექციო მასალა
- მოსწავლის საკითხავი მასალა

IV. *გაკვეთილის/თემატური ერთეულის დროში გაწერილი მიმდინარეობა: აქტივობა #1.*

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სხვადასხვა როლს და სთხოვს მათ განსახიერებას.

ეს როლებია:

„დათო ქუჩაში მუშაობს, ის გამვლელებს ფეხსაცმელებს უწმენდს, ხნადახან ხუდა ფულს აძლევენ გაწეული სამსახურისთვის, უფრო ხშირად ტყუილად უხდება გარჯა. დათო სკოლაში სიარულზე ოცნებობს, მაგრამ მას მშობლები არწმუნებენ, რომ განათლებას მაინც ვერაფერში გამოიყენებს და რომ მხოლოდ მდიდრებს აქვთ უფლება მიიღონ განათლება“.

„ნინო პატარა იყო მშობლები რომ დაეღუპა, ნათესავმა ბავშვთა სახლში მიიყვანა. მას იქ საჭმელი და ტანსაცმელი აქვს, მაგრამ აკლია სითბო, ოჯახური გარემო. როდესაც აღმზრდელები სხვა ბავშვებს უყვირიან ნინო საწოლის ქვეშ იმალება და დიდხანს არ გამოდის“.

„ სანდრო ერთი წელია, რაც ერთმა ოჯახმა იშვილა, თავიდან მას კარგად ექცეოდნენ, მაგრამ როგორც კი ახლანდელი მშობლების ნამდვილმა შვილმა ნიკამ მას ქურდობა დააბრალა ოჯახის წევრები აღარ ენდობიან. ნიკა კი შანსს არ უშვებს ხელიდან, ათასგვარ ხრიკებს უწყობს, რომ სანდრომ რაც შეიძლება მეტი შეცდომა დაუშვას. მას სამწუხაროდ არავინ კითხულობს, როგორ არის, როგორ გრძნობს თავს, ნიკას კი ძალიან უჭირს ცხოვრება“.

განსახიერების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა პრობლემები აქვთ სცენარის გმირებს?
- ხედავთ თუ არა უფლებების დარღვევას და რა შემთხვევაში?
- საჭიროებენ თუ არა ეს ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას?
- ვის აკისრებთ მათზე ზრუნვის პასუხისმგებლობას?
- რომ შეგეძლოთ, როგორ შეცვლიდით მათ ცხოვრებას?

პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მათ მოსაზრებებს, აცნობს ტერმინს „მოწყვლადი“ და ეუბნება, რომ ეს ბავშვები არიან მოწყვლადი ჯგუფის წევრები, რადგან საზოგადოებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას, მზრუნველობას საჭიროებენ, რადგან გაცილებით მეტია რისკი დაირღვეს ან დაარღვიონ მათი უფლებები.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს „ბავშვთა უფლებების შესახებ“, (https://www.youtube.com/watch?v=442yLFwrzs8) რათა უფრო თვალნათელი გახდეს, რომელი უფლებების დარღვევაზეა საუბარი.
საშინაო დავალებად მოსწავლეებს ეძლევათ გაანალიზონ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის კვლევის ანგარიში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

აქტივობა #2.
მოსწავლეები გაეცნენ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის კვლევას, რომლებიც აღწერს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში. მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვების მდგომარეობაზე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასეს,რა მიმართულებით გაუმჯობესდა ბავშვთა მდგომარეობა საქართველოში, როგორია ამ ჯგუფის საჭიროებები და საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულება. კვლევის ანალიზი წარმოადგინეს პრეზენტაციის სახით.

აქტივობა # 3:
მოსწავლეებმა ნახეს ფილიმი „უხილავი ბავშვები“. ფილმის ყურების შემდეგ იმსჯელეს მოცემულ საკითხებზე:

- რამდენად ახლოსაა ქართულ რეალობასთან ფილმში ასახული პრობლემები?
- რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ და საზოგადოებამ არსებული პრობლემების გადასაჭრელად?
- ეკისრებათ თუ არა ცალკეულ ადამანებს/ჩვეულებრივ მოქალაქეებს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში?

აქტივობა # 4
მოწყვლად ჯგუფებთან თანამშრომლობისა და თანადგომის გამოხატვის მიზნით, შევარჩიეთ ორგანიზაცია “SOS ბავშვთა სოფელი“, რომელიც ათასწლეულის სკოლასთან ახლოს მდებარეობს და ერთ თემს წარმოვადგენთ. ორგანიზაციისა და მისი ბენეფიციარების გაცნობის მიზნით სკოლას ეწვია “SOS ბავშვთა სოფელის“ საზოგადოებრივი პროექტების მენეჯერი ლიკა კოსტავა. ლიკა მოსწავლეებს ესაუბრა აღსაზრდელების საჭიროებებზე რა ცოდნისა და უნარების განვითარება სჭირდებოდათ მათ და რა შეიძლება შეგვეთავაზებინა ჩვენი რესურსებით.

აქტივობა #5
მოსწავლეებმა დაგეგმეს ტრენინგი, რომელიც სახალისო აქტივობებს მოიცავდა, რომელიც გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი

აზროვნების, საკუთარი თავის პრეზენტაციის, თვითგამოხატვის უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეებმა ორგანიზება გაუწიეს ტრენინგ-შეხვედრას და "SOS ბავშვთა სოფელიდან" თანატოლებს უმასპინძლეს. მონაწილეებს შორის ღია და მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

პირველი სესია

სესიის სათაური	„ყინულის გალღობა"	
დაწყების დრო და ხანგრძლივობა	15:00-17:00 2 საათი	
საჭიროებების შეფასება (რატომ?)	პროექტის მონაწილეთა გაცნობისა და მათ შორის მეგობრული გარემოს შექმნის მიზნით.	
სესიის ამოცანები (სასწავლო)	გაცნობა. მონაწილეთა გახსნილობა და დადებითი ემოციის შექმნა. კომუნიკაციის უნარის განვითარება.	
სესიის აღწერა ნაბიჯ–ნაბიჯი მეთოდოლოგია	აქტივობა	დრო
	მისასალმებელი სიტყვა - პროექტის მიზნების და მიმდინარეობის გაცნობა	2-3 წუთი
	პროექტის მონაწილეები წარმოადგენენ თავიანთ თავს. თითოეული მათგანი აანთებს ასანთის ღერს და მის ჩაქრობამდე ისაუბრებს საკუთარი თავის შესახებ.	10 წუთი
	პროექტის მონაწილეები სხდებიან წრეზე სკამებზე ან ხალიჩაზე, მათ ცენტრში დევს კანფეტებით სავსე კალათა. წამყვანი სთხოვს მონაწილეებს აიღონ იმდენი კანფეტი რამდენიც სურთ. წამყვანი ეტყვის მონაწილეებს დაასახელონ იმდენი დადებითი თვისება საკუთარი თავის შესახებ რამდენი კანფეტიც გაქვთ. მონაწილეებს მხოლოდ თვისებების დასახელების შემდეგ შეუძლიათ მათი შეჭმა. ეს აქტივობა ეხმარება ჯგუფის წევრებს გაიგონ როგორია მათი პიროვნული მახასიათებლები და უფრო გაიხსნან.	10 წუთი
	მონაწილეებს ერთმანეთთან საერთო მახასიათებლების, თვისებების აღმოჩენისთვის დაეხმარება შემდეგი აქტივობა.	10 წუთი

	ოთახის ცენტრში გავლებული იქნება ქაღალდის წებოვანი ლენტით ხაზი. მონაწილეები იყოფიან ორ ნაწილად და დგებიან ერთმანეთის პირისპირ. წამყვანი ამბობს: ხაზთან(იგულისხმება გამყოფი ხაზი) დადგეს ის ვისაც: ვისაც აცვია ჯინსი ვინც უკრავს რომელიმე საკრავზე ვისაც უყვარს ცხოველები ვისაც უტირია სიცილისგან არასდროს უთქვამს ტყუილი ვისაც უყვარს წვიმა ვისაც ჰყვარებია ვისაც უყვარს ფეხბურთი წამყვანი ამას კითხულობს რიგ-რიგობით, როცა მონაწილეები ერთხელ დადგენიან ხაზთან, შემდეგ ბრუნდებიან ისევ უკან და როცა წამყვანი ახალ წინადადებას წაიკითხავს თავიდან დგებიან. აქტივობის ბოლოს წამყვანი სვამს შეკითხვებს: რა გრძნობაა როდესაც უცხო ადამიანთან საერთოს აღმოაჩენ? რომელი უფრო კომფორტული მდგომარეობაა და რატომ , როცა დიდი ჯგუფის ნაწილი ხარ თუ ჯგუფისგან განსხვავებული? წამყვანი პასუხების მიღების შემდეგ აჯამებს: ჩვენ ყველანი ვართ განსხვავებულები, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი რამ გვაერთიანებს, ყველანი ადამიანები ვართ და გვაქვს ერთნაირი უფლებები.	
	მონაწილეთა უკეთ გაცნობის, მათი გრძნობებისა და სურვილების გამოვლენის მიზნით, ოთახში შეგვაქვს საკვებისთვის განკუთვნილ პატარა ჭურჭელში ჩაყრილი 4 ფერის ემენდემსის(M&M) ბურთულები, ისე რომ მონაწილეებმა ვერ დაინახონ; სავარჯიშოს დაწყებამდე ფლიბჩარტზე ჩამოვწერთ შემდეგს: ყვითელი - ვისურვებდი, რომ წითელი - მჯერა, რომ მწვანე - ვიცი შევძლებ, რომ	10 წუთი

	ყავისფერი - ვვოცნებობ, რომ მონაწილეებს ვთხოვთ, დახუჭონ თვალები და ამოიღონ ჭურჭლიდან თითო ბურთულა; მას შემდეგ, რაც თითოეული მონაწილე ამოიღებს ერთ კანფეტს, ვთხოვთ, რომ გახილონ თვალები და შეხედონ ფლიპჩარტს და იმის მიხედვით, თუ რა ფერის ემენდემსი შეხვდათ, გააჟღერონ საკუთარი სურვილი და აშ. ამას აკეთებს თითოეული მონაწილე რიგრიგობით.	
	„პაემანი“ მონაწილეები დადიან ოთახში, როდესაც წამყვანი გამოაცხადებს „პაემანი“ მონაწილეები სხდებიან იმ მაგიდასთან რომელთანაც ახლოს არიან და საუბრობენ ტრენერის მიერ მიწოდებულ თემაზე. უზიარებენ ერთმანეთს თავის აზრს. 3 თემაა და ჯგუფიც სამჯერ იცვლება, თითოეულ თემაზე სასაუბროდ 3-5 წუთია განკუთვნილი. თემები შეიძლება იყოს: საუბარი ჰობზე. საუბარი საყვარელ ფილმზე. საუბარი ანეგდოტებზე.	10 წუთი
	წამყვანი აჯამებს სესიას და ეკიტხვება მონაწილეებს: როგორ გრძნობენ თავს, რა გაიგეს ერთმანეთის შესახებ, რა აღმოაჩინეს; რა მოეწონათ ყველაზე მეტად; რა არ მოეწონათ.	5 წუთი

მეორე სესია

სესიის სათაური	ემოციები მოქმედებაში

დაწყების დრო და ხანგრძლივობა	**16:00-17:00**	
საჭიროებების შეფასება (რატომ?)	**მონაწილეებში თავდაჯერებულობის გრძნობის ამაღლების, პრეზენტაციის, შემოქმედებითი, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებისთვის.**	
	აქტივობა	დრო
სესიის აღწერა ნაბიჯ–ნაბიჯი მეთოდოლოგია	Act it out მონაწილეები იყოფა ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ალბათობის პრინციპით იღებს ფურცელს, რომელზეც შესაძლოა მსგავსი ტიპის ტექსტი იყოს განთავსებული. • ახლახანს შეიტყვეთ რომ ლატარიაში მოიგეთ • ბუკინგემის სასახლეში ხვდებით დედოფალს • მანქანის კარი ჩაგეკეტათ და საკუთარი დის ქორწილში აგვიანებთ • მეცხრე სართულიდან დაინახეთ როგორ წაიყვანა საჯარიმოზე პოლიციამ თქვენი მანქანა თითოეულ წყვილს აქვს სამი წუთი იმის გასააზრებლად რა სიტუაცია შეხვდათ და როგორ უნდა წარადგინონ მაყურებლის წინაშე. ასევე სამ წუთზე მეტი არ უნდა იყოს დადგმის ხანგრძლივობა. მათ არ შეუძიათ საუბარი და მხოლოდ ჟესტების ენაზე უნდა შეძლონ ამბის წარდგენა. ყოველი წარმოდგენის დასრულების შემდეგ მაყურებლებმა უნდა სცადონ დადგმული სცენის გამოცნობა.	**15 წუთი**
	წამყვანი სთხოვს მონაწილეებს შექმნან საკუთარი პიროვნების გერბი, სიმბოლო, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს მის მეს. მონაწილეები იატაკზე ათავსებენ ან დაფაზე კიდებენ თავიანთ ნახატებს და საუბრობენ ერთმანეთის შესახებ, რისი თქმა და გამოხატვა სურდა ავტორს სიმბოლოს საშუალებით.	**15 წუთი**
	მონაწილეებს ეძლევათ რესურსები: კარდონის ქაღალდი, ბუშტები, 2 ცალი კვერცხი, ძაფი, ქაღალდი, წებოვანი ლენტა, მათ 10 წუთის	**15 წუთი**

	განმავლობაში უნდა გააკენონ კვერცხისთვის პარაშუტები, რომ მეორე სართულიდან ჩამოგდებისას არ გატყდეს. აქტივობის შემდეგ იმართება განხილვა რა გაუჭირდათ, როგორ მუშაობდნენ გუნდში და ა.შ.	
	იატაკზე დაწებებულია თაბახის ქაღალდი და ერთგვარი ბილიკია შექმნილი. მონაწილეებმა უნდა წარმოიდგინონ რომ იმყოფებიან პირანიებით სავსე მდინარეში და ისე უნდა მოახერხონ ამ ბილიკების გადავლა რომ ფეხი არ აცილონ, თორემ პირანიები შეჭამენ. თუ რომელიმე მონაწილე ფეხს ქვის (თაბახის ფურცლის) გარეთ დგამს რა ეტაპზეცუნდა იყვნენ თავიდან იწყებენ დაბრკოლების გადალახვას, ყველა ცდილობს ერთმანეთის დახმარებას. დაბრკოლების გადასალახად ეძლევათ 12 წუთი.	**12 წუთი**
	წამყვანი აჯამებს სესიას შემდეგი აქტივობის გამოყენებით. ოთახის ერთ კუთხეში იატაკზე წერია + მეორე კუთხეში - , წამყვანი სთხოვს მონაწილეებს თუ მოეწონათ შეხვედრა დადგნენ პლუსთან, თუ არ მოექონათ მინუსთან. გადაადგილების შემდეგ სვამს კითხვებს: რა ისწავლეს? რა მოეწონათ ყველაზე მეტად? რის შეცვლას ისურვებდნენ? როგორ გრძნობენ თავს?	5 წუთი